**თემა:** ხაზი, ფერი, ფორმა
**ქვეთემა:** ფერთა თეორია,მუქი ღია, პასტელური ფერები, მატყუარა ხაზები
*საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+2*
კლასი: IV

**მაკროცნება/ მაკროცნებასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:**

| **კომპლექსური დავალებები (დასახელება)** | **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები** | **საკითხები** | **საკვანძო შეკითხვები** |
|---|---|---|---|
| 1) ნამუშევრის შექმნა სამოგზაურო შთაბეჭდილებების გადმოცემაზე. (მუქი და ღია, პასტელური ფერების , გოეთეს სამკუთხედის, მატყუარა ხაზების გამოყენებით) | **1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**<br>**2. სახვითი ხელოვნების ტექნიკები**<br><br>**ხაზი:** სხვადასხვა ტიპის, კონტური;<br><br>**ფერი:** ცივი, თბილი, კონტრასტული, ნახევარტონები;<br><br>**ფორმა:** გეომეტრიული, ბუნებაში არსებული, სიმეტრიული/ასიმეტრიული;<br><br>**პრინციპები:** კომპოზიციური განაწილების საფუძველი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება), ძირითადის გამოყოფა, წინა/უკანა ხედი, ხედვის წერტილი, დინამიკა;<br><br>**ტექნიკა:** ფერწერა, გრაფიკა (შერეული ტექნიკა);<br><br>**დარგი:** ფერწერა, გრაფიკა; | მოგზაურობისას საინტერესო მოვლენის, გარემოს, საგნის ან/და უჩვეულო აღმოჩენის თავისებურებების ასახვა ნამუშევარში. | • როგორ გადმოვცე მოგზაურობის დროს გადახდენილი სათავგადასავლო შთაბეჭდილებები ნამუშევარში?<br>• როგორ გამოვიყენ ხაზის/ფერის თვისებ მხატვრული ხერხებ საინტერესო მოვლე უჩვეულო ამბების გადმოსაცემად? |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| **გრძელვადიანი მიზანი**<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **ქვეცნებები:**<br>**ხაზი:** სხვადასხვა ტიპის, კონტური;<br><br>**ფერი: მუქი, ღია, პასტელური,** ცივი, თბილი, კონტრასტული, ნახევარტონები;<br><br>**ფორმა:** გეომეტრიული, ბუნებაში არსებული, სიმეტრიული/ასიმეტრიული;<br><br>**პრინციპები:** კომპოზიციური განაწილების საფუძველი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა, ფორმატზე გამოსახულების განაწილება), ძირითადის გამოყოფა, წინა/უკანა ხედი, ხედვის წერტილი, დინამიკა;<br><br>**ტექნიკა:** ფერწერა, გრაფიკა (შერეული ტექნიკა);<br><br>**დარგი:** ფერწერა, გრაფიკა; | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**<br>● როგორ გადმოვცე სამოგზაურო შთაბეჭდილებები სათავგადასავლო სიუჟეტის ნამუშევარში?<br>● როგორ გამოვიყენო ხაზის/ფერის თვისებები, მხატვრული ხერხები- საინტერესო მოვლენების, უჩვეულო ამბების გადმოსაცემად? | **შუალედური სასწავლო მ**<br><br>**კომპლექსური და**<br>**პირობა** |
| | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები** (რესურსები, აქტივობები): | | სასურველი **მასალით** |

| | | |
|---|---|---|
| 1. **1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (*შედეგები: ს.გ.დაწყ.(II).1,4,5)***<br>• ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზეზით იქმნება;<br>• ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;<br>• სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშებზე შთაბეჭდილებების იდეების, აზრის გამოთქმისას.<br><br>**2. სახვითი ხელოვნების ტექნიკა (*შედეგები: ს.გ.დაწყ.(II).2,4)***<br>• ხელოვანი მასალას, ტექნიკას და პროცედურას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის მიხედვით.<br><br>**3. სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (*შედეგები: ს.გ.დაწყ.(II).1,2,3,4,5,6)***<br>• ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება: | **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა**<br>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?<br><br>**აქტივობა 1.** მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.<br><br>• როგორ გადმოვცე სამოგზაურო შთაბეჭდილებები სათავგადასავლო სიუჟეტის ნამუშევარში?<br><br>**რესურსი/აქტივობა:**<br>მოსწ.წიგ.გვ. 40-41 „წიგნის გრაფიკა“;<br>დასურათებული სათავგადასავლო იტორიები;<br>მოსწ. წიგ. გვ. 10-19; ბ.სულაკაურის გამომც.-მოგზაურობა ეგვიპტეში;<br>პროფესია- „მფრინავი მეზღაპრე“;<br>პროფესია-„აღმომჩენი;<br><br>მოსწავლეები ათვალიერებენ მხატვარ-ილუსტრატორების(გრაფიკოსების) ნამუშევრებს, ეცნობიან **ილუსტრაციის** მნიშვნელობას და **დარგს**, რომელსაც მიეკუთვნება **წიგნის დასურათების ხელოვნება.** სხვადასხვა რესურსებზე დაყრდნობით მსჯელობენ მოგზაურობის დანიშნულებაზე, შესაძლებლობებზე(რეალური, წარმოსახვითი) და საკუთარ ინტერესებზე - სად, როგორ და ვისთან ერთად ისურვებდნენ გამგზავრებას სათავგადასავლო მოგზაურობაში. | (ფერწერა, გრაფიკა, შერ<br>შექმენი სათავგადასავლო<br>ამსახველი ნამუშევარი, სა<br>ძალის მქონე მეგზურების<br>დახმარებით მოყვები თავ<br>სამოგზაურო შთაბეჭდილ<br>დაფიქრდი, რა საინტერე<br>გარემოს, საგნის ან უჩვე<br>ასახვას ისურვებდი და<br>ხელსაწყოების(**ხე**<br>დახმარებით(ფორმა,<br>გამოყოფა, სიმეტრია/<br>წინა/უკანა ხედი, დინა<br>წერტილი) ნამუშევარშ<br>საკუთარი სამოგზაურ<br><br>ნამუშევრის წარდგენის<br>ხაზგასმით წარმ<br>• რა **მასალა** და **ტექნ**<br>ნამუშევრის შეს<br>**(სამ.ცნებ**<br>• როგორ გამოიყენე<br>თვისებები სამ<br>შთაბეჭდილ<br>გადმოსაცემად?(<br>• რა **მხატვრული ხერ**<br>გარემოს, საგნის ან/<br>აღმოჩენის თავის<br>წარმოსაჩენად?(<br>• იმისდა მიხედვით თ<br>მასალა, მხატვრული<br>გამოიყენე მოგზაური<br>მოსაყოლად- ხელო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| • სახვითი ხელოვნების დარგების ნამუშევრები იქმნება სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით, თუმცა თითოეული დარგისთვის რომელიმე ელემენტია მეტად დამახასიათებელი.<br>• ხელოვნების ჟანრებად დაყოფას განაპირობებს ნამუშევრის შინაარსი. | | **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br><br>**ქვეცნება:**<br>გრაფიკა-ილუსტრაცია; | • რომელი წიგნი უფრო მიმზიდველია შენთვის-ფერადოვნად დასურათებული, თუ მხოლოდ ტექსტის შემცველი?<br>• დაფიქრებულხარ, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ნახატების სახით აცოცხლებენ ჩვენთვის საყვარელ პერსონაჟებს, სათავგადასავლო, მხიარულ თუ სევდიან ისტორიებს?<br>• ხელოვნების რომელ დარგს შეიძლება მივაკუთვნოთ წიგნის დასურათება-შემკობა?<br>• რა არის ილუსტრაცია?<br>• რა საქმიანობას ეწევა მხატვარ-გრაფიკოსი?<br>• როგორ სახის ილუსტრაციები მოგწონს უფრო მეტად-ფერადი თუ შავ-თეთრი?<br>• რა ჟანრის მხატ. ნაწარმოები ან/და ანიმაციური ფილმი გიყვარს, გაემგზავრებოდი საყვარელ პერსონაჟთან/ებთან ერთად სათავგადასავლო მოგზაურობაში?<br>• რატომ არის მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები ადამიანებისთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი?<br>• სად იმოგზაურებდი?<br>• შეგიძლია მხატვრული ხელსაწყოები წარმოიდგინო შენს მეგზურებად?<br>• როგორ ფიქრობ რა დახმარებას გაგიწევენ ისინი? | | **დარგს** მიაკუთვნ<br>ნამუშევარს? რატომ<br><br>**მაკროცნება და დაკავშირებული კრიტე** |

| | |
|---|---|
| | • როგორ გადმოვცე მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილება ნამუშევარში?<br>• როგორ გამოვიყენო მხატვრული საშუალებები და მათი თვისებები ამბის საინტერესოდ თხრობისთვის? |

**II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი**

**ნაბიჯი1.** როგორ გამოვიყენო **ფერის თვისებები** საინტერესო ამბის, გარემოს, მოვლენის გადმოსაცემად?

**რესურსი/აქტივობა:**
მოგზაურობა ფერის სამყაროში-ფერის ჯადოქრობა;
მოსწ. წიგ. გვ.14-15; -ფერით წერის ხელოვნება;
მოსწ. წიგ. გვ. 45; -ფერებით გადმოცემული განწყობა;
მოსწ. წიგ. გვ. 16-17; - კონტრასტული ფერები
მოსწ. წიგ. გვ. 18-19; -ტონი;
მოსწ. წიგ. გვ. 8-9; - მუქი და ღია, ფერის სიძლიერე;
Google art & culture-კოლორიტის მიხედვით წარმოდგენილი ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გალერეა-(ფერი, ტონი, განწყობა);

მოსწავლეები იხსენებენ და ეცნობიან ფერის თვისებებს. ვარჯიშობენ გუაშის ან აკვარელის საღებავში წყლის დამატებით თანდათან ღია ფერის მიღების ტექნიკაში. გამოთქვამენ მოსაზრებებს ფერის გრადაციასთან დაკავშირებული ასოციაციების შესახებ.

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br><br>**ქვეცნება:**<br>ფერწერა; ფერი: –ცივი, თბილი, კონტრასტული, ნახევარტონები; | • რა არის ფერწერა?<br>• რისი მოყოლა შეიძლება ფერით?<br>• რა მასალის და ტექნიკის გამოყენებით იქმნება ფერწერული ნამუშევარი?<br>• რის მიხედვით ირჩევენ ფერებს მხატვრები?<br>• რა განსხვავებაა ცივ, თბილ და კონტრასტულ ფერებს შორის?<br>• რა ხერხები არსებობს ერთი ფერისგან სხვადასხვა ტონალობის მისაღებად?<br>• რა აძლიერებს ფერს?<br>• როგორ შევქმნა სასურველი ფერების პალიტრა? |

**ნაბიჯი 2.** **ფერწერის ტექნიკით**(ლაქა, მონასმი) და **დინამიური კომპოზიციით** როგორ გადმოვცე მოგზაურობისას უჩვეულო მოვლენით აღძრული შთაბეჭდილება?

**რესურსი/აქტივობა:**
მოსწ.წიგ. გვ.20-21; განსხვავებული ხედვა;
მოსწ.წიგ. გვ.46; დინამიკა;
#ტელესკოლა-III-IVკლასი, ლაქა;
#ტელესკოლა-III-IVკლასი, კომპოზიციური განაწილების საფუძველი(ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა), მონასმი;
სარეკომენდაციო ხასიათის აქტივობა-თამაში 16აწ. „ ჯადოსნური ქვის და ფერის დახმარებით შორეულ წარსულში გამგზავრება"

მოსწავლეები ეცნობიან ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს, სადაც ძირითადად ფერით, მრავალფეროვანი ტონით, ლაქით, მონასმით გადმოიცემა დინამიური განწყობა, მღელვარე შთაბეჭდილება.
*პრაქტიკული სამუშაო- ნამუშევარში წარმოსახვითი -„უჩვეულო" გარემოს ასახვა და შესაბამისი ფორმატის შერჩევის, ფერების, გეომეტრიული ფორმების, ლაქის, მონასმის გამოყენებით დინამიური(სათავგადასავლო) განწყობის გადმოცემა.*

| | |
|---|---|
| **საამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br><br>**ქვეცნება:** კომპოზიციური განაწილების საფუძველი(ვერტიკალური/ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა), ფორმა, დინამიკა, ლაქა, მონასმი; | • გარკვეული განწყობის გადმოსაცემად რა როლს ასრულებს კომპოზიციური წყობა და შერჩეული ფორმატი(ვერტიკალური, ჰორიზონტალური)?<br>• რით განსხვავდება დინამიკური კომპოზიცია სტატიკურისგან?<br>• რის მიხედვით ვირჩევთ კომპოზიციის ამა თუ იმ ტიპს?<br>• ფორმის, ფერის, ლაქის, მონასმის გამოყენებით როგორ შეიძლება გადმოვცე საგნის, მოვლენის, გარემოს სახასიათო თავისებურებები?<br>• ლაქით, მონასმით შესაძლებელია დინამიკური განწყობის გადმოცემა?<br>• რა მხატვრული საშუალებებითა და ხერხებით შეიძლება გადმოვცე |

| | |
|---|---|
| | წარმოსახვითი გარემო და მასში განვითარებული საინტერესო მოვლენები? |

**ნაბიჯი 3. გრაფიკა** და მისთვის სახასიათო **მასალა, ტექნიკა** როგორ გამოვიყენო სამოგზაურო რუკის, მარშრუტის ან/და რაიმე სიმბოლური გამოსახულების დასახატად(შესადგენად) და რა **მხატვრულ-გამომსახველობითი** ხერხების დახმარებით გადმოვცე მოგზაურობისას აღმოჩენილი საინტერესო საგნის/მოვლენის/გარემოს თავისებურებები?

**რესურსი/აქტივობა:**
მოსწ.წიგ.გვ 6-7, შავ-თეთრი ხელოვნება;
მოგზაურობა ხაზის სამყაროში;
#ტელესკოლა-III-IVკლასი, გრაფიკა;
მოსწ.წიგ. გვ. 20-21, კით ჰარინგი( ხაზით და კონტურით გადმოცემული მხიარულება);
#ტელესკოლა-III-IVკლასი, კონტური;
მოსწ.წიგ. გვ.8-9, ჩანახატი;
მოსწ.წიგ. გვ. 26-27, ასიმეტრია/სიმეტრია;
მოსწ.წიგ.გვ 105, ხედვის წერტილი(ზემოდან, ქვემოდან, პირდაპირ დანახული საგნები/ობიექტები);
სარეკომენდაციო ხასიათის რესურსი-ძველი ეგვიპტის ღმერთები;
სარეკომენდაციო ხასიათის რესურსი ნაწ.2-„მოგზაურობა ძლევამოსილი რაინდების სამყაროში“;

1.მოსწავლეები ეცნობიან გრაფიკისთვის სახასიათო ამბის, განწყობის გადმოცემის მხატვრულ საშუალებებს და ტექნიკურ თავისებურებებს.
2. მსჯელობენ როგორ შეუძლიათ შექმნან მარშრუტის, რუკის, ადგილმდებარეობის გრაფიკული აღნიშვნები(გამოსახულებები), ჩანახატების სახით გადმოსცენ რეალური ან წარმოსახვითი მოგზაურობისას გაკეთებული აღმოჩენები(საგანი, მოვლენა, გარემო და ა.შ.).
*აქტივობა/თამაში -"მოგზაურის დღიური" -მოსწავლეები სასურათე სიბრტყეზე მათთვის საინტერესო ქვეყნის ასოციაციურ რუკას ქმნიან, რომელშიც მინიშნებების სახით წარმოდგენილი*

| | | |
|---|---|---|
| | *უნდა იყოს ამ ქვეყნისთვის სახასიათო, ადვილად ამოსაცნობი ელემენტები(მაგ: პალმა, პირამიდა, აქლემი, სფინქსი და ა.შ).* | |

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br><br>**ქვეცნება:** გრაფიკა(შავ-თეთრი), სხვადასხვა ტიპის ხაზი, კონტური, ასიმეტრია/სიმეტრია, ხედვის წერტილი. | • სად გინახავს გრაფიკული აღნიშვნები?<br>• რა მნიშვნელობის შემცველია ესა თუ ის გრაფიკული გამოსახულება?<br>• რატომ უწოდებენ მათ გრაფიკულ გამოსახულებებს?<br>• რა არის გრაფიკა?<br>• რა მხატვრულ საშუალებებს და ტექნიკას იყენებს გრაფიკა ამბის გადმოსაცემად?<br>• რა ხერხებით მოგვითხრობს გრაფიკა განწყობის, შთაბეჭდილების, ემოციის შესახებ?<br>• რა არის ჩანახატი და რა დანიშნულებით იყენებენ ჩანახატს(ესკიზს) მხატვრები?<br>• როგორ დამეხმარება ხაზი, კონტური სამოგზაურო მარშრუტის, რუკის, გრაფიკული აღნიშვნების გასაკეთებლად?<br>• მოგზაურობისას ნანახი საინტერესო საგნის, მოვლენის და ა.შ. სახასიათო თვისებები როგორ შემიძლია გადმოვცე მხატვრული ხერხების(სიმეტრია/ასიმეტრია, ხედვის წერტილი) საშუალებით? |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ● ჩანახატების საშუალებით როგორ შევქმნა ერთიანი სათავგადასავლო ისტორია? | |

**ნაბიჯი 4.** როგორ **გავანაწილო საგნები კომპოზიციაში** და რა **მხატვრული ხერხები** გამოვიყენო მოგზაურობისას თავს გადახდენილი მნიშვნელოვანი ამბის/შთაბეჭდილების გადმოსაცემად?

**რესურსი/აქტივობა:**
მოსწ.წიგ.გვ.48- „შორს თუ ახლოს“
მოსწ.წიგ.გვ49- „დიდი და პატარა საგნები“
სარეკომენდაციო რესურსი(სავარჯიშო)-„ახლო და შორს არსებული საგნების გადმოცემა ფერის საშუალებით“
სარეკომენდაციო რესურსი(გასართობი ხასიათის)-„სამოგზაუროდ მოსამზადებელი მხატვრული ხელსაწყოები“;

მოსწავლეები მსჯელობენ როგორ გადმოსცენ ნამუშევარში ახლო და შორ მანძილზე არსებული გამოსახულებები, რა მხატვრული ხერხით და საშუალებით შეუძლიათ გამოყონ სასურათე სიბრტყეზე მნიშვნელოვანი ამბავი/გამოსახულება, როგორი მასალა/ტექნიკა შეარჩიონ ჩანაფიქრის გადმოსაცემად.
*პრაქტიკული სამუშაო-„მე-ტურისტი, ისტორიკოსი, არქეოლოგი“-მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო როლს და ნამუშევარში ასახავენ სახასიათო გარემოში გადმოცემულ საკუთარ დაკვირვებას(მაგ: ისტორიული, პირი, აღმოჩენილი ნივთი, უჩვეულო გარემო, ესა თუ ის ღირსშესანიშნაობა და ა.შ.);*

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br><br>**ქვეცნება:** კომპოზიციური განაწილება, ძირითადის გამოყოფა, წინა/უკანა ხედი; | • დაკვირვებიხარ როგორ გამოიყურება ერთი და იგივე საგანი ახლო და შორ მანძილზე?<br>• როგორ გადმოსცემენ ახლო და შორ მანძილზე საგნებს მხატვრები?<br>• როგორ ფიქრობ, რა ხერხებით არის შესაძლებელი გამოსახულებების განაწილება სასურათე სიბრტყეზე მთავარი/მნიშვნელოვანი ამბის გამოსაკვეთად?<br>• როგორ გადმოიცემა წინა, შუა,უკანა ხედი სიბრტყეზე?<br>• რა ხერხები არსებობს  კომპოზიციაში ძირითადი ამბის აქცენტირებისთვის?<br>• როგორ გადმოვცე ხედები სიბრტყეზე?<br>• რა მხატვრული ხერხები, საშუალებები გამოვიყენო ჩემთვის საინტერესო ამბის/საგნის/მოვლენის გადმოსაცემად?<br>• როგორ გავანაწილო გამოსახულებები ნამუშევარში, რომ საინტერესოდ მოვყვე სასურველი ამბავი/ისტორია? |

**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:**

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა თემაზე შექმენი ნამუშევარი;
- როგორ შეძელი მოგზაურობის შთაბეჭდილებების გადმოცემა?
- დაგეხმარა თუ არა როლური თამაში და სხვადასხვა ადგილების მონახულება საკუთარი მოგზაურობის ისტორიის საინტერესოდ ასახვაში?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

## კომპლექსური დავალების ბარათი:

| | | |
|---|---|---|
| **მიმართულება:** ხაზი ფერი, ფორმა | **სამიზნე ცნება:** სახვითი ხელოვნების მხატვრულგამომსახველობითი საშუალებები(პრინციპები) | **კლ**<br>დრ |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| **საკითხები:** ფერთ ათეორია. მუქი და ღია ფერები, პასტელური ფერები, გოეთეს სამკუთხედი | **საკვანძო კითხვები:**<br>• **როგორ გადმოვცემოგზაურობის დროს თავს გადახდენილი შთაბეჭდილებები ნამუშევარში**<br>• **როგორ გამოვიყენო ხაზის, ფერის თვისებები, მხატვრული ხერხები საინტერესო მოვლენის, უჩვეულო ამბის გადმოსაცემად** | |
| **დავალების პირობა:** | ნამუშევრის შექმნა სამოგზაურო შთაბეჭდილებების გადმოცემაზე. ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე, ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• რა **მასალა** და **ტექნიკა** გამოიყენე ნამუშევრის შესაქმნელად? **(სამ.ცნება2);**<br>• როგორ გამოიყენე **ფერის, ხაზის** თვისებები სამოგზაურო შთაბეჭდილების გადმოსაცემად?**(სამ.ცნება1)**<br>• რა **მხატვრული ხერხები** გამოიყენე გარემოს, საგნის ან/და საინტერესო აღმოჩენის თავისებურებების წარმოსაჩენად?**(სამ.ცნება1)**<br>• იმისდა მიხედვით თუ რა ტექნიკა, მასალა, მხატვრული საშუალებები გამოიყენე მოგზაურობის | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ისტორიის მოსაყოლად- ხელოვნების რომელ **დარგს** მიაკუთვნებ საკუთარ ნამუშევარს? რატომ?(**სამ.ცნება3** | | |

# კომპლექსური დავალება N 2

| **თემა:** მე შემოქმედი<br>*ქვეთემა: საჩუქარი*<br>*საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+2*<br>*კლასი: IV* | | | |
|---|---|---|---|
| **მაკროცნება/ მაკროცნებასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:** | | | |
| **კომპლექსური დავალება** | **სამიზნე ცნებები და ქვეცნებები** | **საკითხები** | **საკვანძო შეკითხვები** |
| აპლიკაციით ან/და შერეული ტექნიკით სასაჩუქრე ნივთის შექმნა. | **1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**<br>**2. სახვითი ხელოვნების ტექნიკა**<br>**3. სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები** | დეკორატიულ-გამოყენებითი ნივთის შექმნა. | როგორ შევქნა **აპლიკაციის** ან **შერეული** ტექნიკით,**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების და ხერხების გამოყენებით დეკორატიული** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **ელემენტები:**<br>**ხაზი:** სხვადასხვა ტიპის;<br>**ფერი:** შედგენილი, ცივი და თბილი;<br>**ფორმა:** გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;<br>**პრინციპები:**<br>ელემენტთა განმეორებადობა, რიტმი;<br>**ტექნიკა:**<br>აპლიკაცია, შერეული ტექნიკა;<br>**დარგი:**<br>დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება. | | **ნივთი?**(მისალოცი ან მოსაწვევი ბარათი, წიგნის სანიშნი და სხვა.) |
| გრძელვადიანი მიზანი<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **ქვეცნება/საკითხი**<br>**ხაზი:** სხვადასხვა ტიპის;<br>**ფერი:** შედგენილი, ცივი და თბილი;<br>**ფორმა:** გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;<br>**პრინციპები:**<br>ელემენტთა განმეორებადობა, რიტმი;<br>**ტექნიკა:**<br>აპლიკაცია, შერეული ტექნიკა;<br>**დარგი:**<br>დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება. | **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**<br>• როგორ შევქნა **აპლიკაციის** ან **შერეული** ტექნიკით, **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების და ხერხების გამოყენებით დეკორატიული ნივთი?**(მისალოცი ან მოსაწვევი ბარათი, წიგნის სანიშნი და სხვა.) | შუალედური სასწავლო მიზანი<br><br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
| **2.**<br>**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)**<br>• ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები** (რესურსები, აქტივობები):<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა**<br>**როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?**<br><br>**აქტივობა 1.** მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა.<br><br>როგორ შევქმნა სხვადასხვა **მასალით** და **ტექნიკით დეკორატიულ-გამოყენებითი** ნივთი? | | **აპლიკაციის ან შერეული ტექნიკის** გამოყენებით შექმენი **დეკორატიული** ნივთი (მისალოცი ან მოსაწვევი ბარათი, წიგნის სანიშნი და სხვა.) და გადმოეცი შესაბამისი განწყობა ( საახალწლო, საშობაო, დედის დღისადმი მიძღვნილი, სააღდგომო და ა.შ.) - **ორნამენტის,ხაზის, ფერის,** |

ხელოვნების ენას, ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს და პრინციპებს;

- სახვითი ხელოვნების ენას ვიყენებთ არა მხოლოდ ნამუშევრის შექმნისას, არამედ ხელოვნების ნიმუშების ანალიზის, ინტერპრეტაციის და შეფასებისას.

3. **სახვითიხელოვნებისტექნიკა(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)**

- ხელოვანი, მასალას და ტექნიკას ირჩევს მხატვრული ჩანაფიქრის, შემოქმედებითი ამოცანის შესაბამისად;
- კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, იცვლებოდა და ჩნდებოდა ხელოვნების ახალი ფორმები, მასალა და ტექნიკა.

4. **სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**

**II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი**

**ნაბიჯი 1.** როგორ გამოვიყენო **ხაზი, ფერი და ფორმა ორნამენტის** შესაქმნელად?
**რესურსი/აქტიბობა:**

ხაზი
ორნამენტი
ცივი და თბილი ფერები

შედგენილი ფერები

**ხაზების, ფერებისა და ფორმების** გამოყენებით მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ტიპის **ორნამენტს.**

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები**<br><br>**ქვეცნება:**<br>ხაზი – სხვადასხვა ტიპის.<br>ფერი – შედგენილი, ცივი და თბილი.<br>ფორმა – გეომეტრიული და ბუნებაში არსებული.<br>ელემენტთა განმეორებადობა, რიტმი. | • რა ფერებს ხედავ შენს გარშემო?<br>• რომელი ფერებია ძირითადი?<br>• როგორ მიიღება შედგენილი ფერები?<br>• როგორ ფერებს ვუწოდებთ თბილს და ცივს?<br>• როგორი ფორმები არსებობს?<br>• როგორი დავუკავშირო გეომეტრიული ფორმა ბუნებაში არსებულ ფორმას?<br>• როგორ გადმოვცე სადღესასწაულო განწყობა ფერებით და ფორმებით?<br>• რა არის ორნამენტი?<br>• როგორი ორნამენტი არსებობს?<br>• როგორ გამოვიყენო გეომეტრიული, ცხოველური და |

**ფორმის და სხვადასხვა მასალის** გამოყენებით (ბისერი, ღილი, წებოვანი ლენტი, ქაღალდი, გამოჭრილი ფიგურები).

**ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე, ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- რომელი **ტექნიკა** გამოიყენე ნამუშევრის შესაქმნელად?**(სამ.ცნება 2)**
- რა დამატებითი **მასალა** გამოიყენე იდეის გადმოსაცემად?**(სამ.ცნება 2)**
- როგორი **ხაზი,ფორმა** და რომელი **ფერები** შეარჩიე **ორნამენტისთვის?(სამ.ცნება 1)**
- როგორ შეძელი გამოყენებული **მასალის, ტექნიკის და ფერის** საშუალებით შენთვის საყვარელი სადღესასწაულო განწყობის შექმნა?**(სამ.ცნება 1,2)**

| | |
|---|---|
| **(შედეგები: ს.გ.საბ.1, 2, 3, 4)**<br><br>●ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გვხვდება;<br>●ხელოვნების ნიმუშები სხვადასხვა მიზნითა და დანიშნულებით იქმნება;<br>●ხელოვნების დარგებად დაყოფას გამოყენებული მასალა, ტექნიკა ან დანიშნულება განაპირობებს;<br>თითოეული დარგისთვის სახვითი ხელოვნების რომელიმე გამომსახველობითი საშუალება თუ ხერხია მეტად დამახასიათებელი;<br>სახვითი ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით;<br>ხელოვნების დარგებს და ჟანრებს განვითარების თავისი ისტორია აქვს. | |

| | |
|---|---|
| | მცენარეული ორნამენტი ჩემს ნამუშევარში?<br>● რა არის რიტმი?<br>● როგორ გამოვიყენო რიტმი და ელემენტთა განმეორებადობა ნივთის გასაფორმებლად?<br>● როგორ ხაზებს ხედავ შენს გარშემო?<br>● რისი გადმოცემა შემიძლია ხაზებით?<br>● როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ტიპის ხაზი ჩემს ნამუშევარში. |

**ნაბიჯი 2.** როგორ შევქმნა **დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში?**

**რესურსი/აქტივობა:**

- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება
- ტელესკოლა სახვითი ხელოვნება, III-IV კლასი - ბარათები; სასაჩუქრე პაკები

მოსწავლეები ეცნობიან **დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების** ნიმუშებს.

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები** | ● რა არის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება?<br>● როგორ შეიძლება სხვადასხვა მასალით ჩვეულებრივი ნივთი ვაქციოთ არაჩვეულებრივად? |

| | |
|---|---|
| **ქვეცნება:**<br>დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება. | • როგორ შევქმნა დეკორატიული ნივთი ?<br>• რა განასხვავებს ხელოვნების ნიმუშს უბრალო საგნისგან, ნივთისგან?<br>• შეიძლება თუ არა ჩემს მიერ შექმნილი ნამუშევარი გამოვიყენო ყოველდღიურ ცხოვრებაში?<br>• რისთვის და რა დანიშნულებით შეიძლება გამოვიყენოთ დეკორატიული ნივთი.<br>• როგორ შევქმნა დეკორატიული ნივთი და რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები გამოვიყენო? |

**ნაბიჯი 3.** როგორ გამოვიყენო **კოლაჟის** და **აპლიკაციის ტექნიკა** ნამუშევრის შექმნისას? როგორ შევარჩიო ამისათვის საჭირო მასალა?
**რესურსი/აქტივობა:**

- აპლიკაცია

მოსწ.წგ.გვ.90-91. აპლიკაცია
https://drive.google.com/file/d/1ySA4dCfrpa_sZGDDYh-HutxAQvx4FXEX/view

**აპლიკაციის, კოლაჟის და დამატებითი მასალის** გამოყენებით მოსწავლეები ქმნიან ნამუშევრებს.

| | |
|---|---|
| **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები** | • რა არის აპლიკაცია?<br>• რა მასალის გამოყენებით იქმნება აპლიკაცია?<br>რა არის კოლაჟი? |

| | |
|---|---|
| **ქვეცნება:** აპლიკაცია, შერეული ტექნიკა. | • რა განსხვავებაა აპლიკაციასა და კოლაჟს შორის.<br>• როგორ გამოვიყენო ბუნებრივი და არაბუნებრივი მასალა კოლაჟის შესაქმნელად?<br>• როგორ შევქმნა აპლიკაცია? |

**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:**

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- როგორ შეძელი განწყობის გადმოცემა ნამუშევარში?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად ახლიდან რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას.
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნამუშევრებისგან?
- დეკორატიული ნივთის შექმნისას გაითვალისწინე თუ არა ადრესატის სახასიათო ნიშნები? მაგ: გემოვნება, ასაკი.